პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
9 აპრილი
1940 წ.
№ 82 (5783)
ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთშია:

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია.—კანონები, მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ (1-ლი და მე-2 გვ.)

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელი არმიის უფროსთა და მერიგეთა შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ (1-ლი გვ.)

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელი არმიის ჯარის ნაწილებისა და შენაერთების სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ (1-ლი გვ.)

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „ნა სტრაჟე როდინის“ წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ (1-ლი გვ.)

უცხოეთში:

ბერნარდ შოუს განცხადება (1-ლი გვ.)

ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრის კუტის გამოსვლა (1-ლი გვ.)

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის უფროსთა და მერიგეთა შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

ფინელ თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან სიმამაცისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** სახელწოდება, მასთან გადაეცეს **ლენინის ორდენი** და **„ოქროს ვარსკვლავის“** მედალი:

1. უმცროს ლეიტენანტს გრიგოლ მიხეილის-ძე **აირაპეტიანს**
2. უმცროს ლეიტენანტს სიმონ პავლეს-ძე **ალპეევს**
3. ლეიტენანტს ალექსანდრე ივანეს-ძე **ანდრიანოვს**
4. უმცროს მეთაურს ბრონისლავ რომანის-ძე **ანტილევსკის**
5. უმცროს მეთაურს ჰაფილდ შაკიმანდურის-ძე **არასლანოვს**
6. წითელარმიელ ივანე ტიმოთეს-ძე **არტემოვს**
7. მაიორ ივანე ფილიპეს-ძე **ბალაშოვს**
8. უმცროს ლეიტენანტს მიხეილ ივანეს-ძე **ბეკეტოვს**
9. უმცროს პოლიტხელს პეტრე იუსტინეს-ძე **ბოგატირს**
10. უფროს პოლიტხელს ვასილ რომანის-ძე **ბოიკოს**
11. წითელარმიელ ივანე ნიკიტას-ძე **ბოიცოვს**
12. უმცროს მეთაურს სერგი ნიკოლოზის-ძე **ბუტიაკოვს**
13. ლეიტენანტს მიხეილ ივანეს-ძე **ბიკოვს**
14. უფროს ლეიტენანტს გაბრიელ ტარასის-ძე **ვასილენკოს**
15. კაპიტან ლეონიდ ვასილის-ძე **ვინოგრადოვს**
16. წითელარმიელ ბორის ალექსის-ძე **ვინოკუროვს**
17. პოლიტხელს ნიკოლოზ პოლიკარპის-ძე **ვლასენკოს**
18. კაპიტან პეტრე ალექსის-ძე **როვნას**
19. წითელარმიელ ნიკოლოზ სიმონის-ძე **გრეკოვს**
20. ლეიტენანტს მიხეილ ალექსანდრეს-ძე **გუდენკოს**
21. უმცროს მეთაურს გიორგი დანიელის-ძე **გუსლევს**
22. უმცროს პოლიტხელს ვასილ ლეონტის-ძე **გუტინს**
23. წითელარმიელ ალექსანდრე სამუელის-ძე **დემკინს**
24. ლეიტენანტს ლეონიდ ილიას-ძე **დუზერს**
25. უფროს ლეიტენანტს მიხეილ ტარასის-ძე **დუდარენკოს**
26. ლეიტენანტს სპირიდონ მიხეილის-ძე **ეგოროვს**
27. ლეიტენანტს სტეფანე ექვთიმეს-ძე **ელეინიკოვს**
28. წითელარმიელ ვიქტორ ალექსის-ძე **ემელიანოვს**
29. მაიორ ივანე პეტრეს-ძე **ჟურავლიოვს**
30. მაიორ ვიქტორ ვლადიმერის-ძე **ზელენცოვს**
31. უმცროს მეთაურს ანდრია ფილიპეს-ძე **ზენინს**
32. წითელარმიელ თევდორე ივანეს-ძე **ივანოვს**
33. უმცროს მეთაურს ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **იგაშევს**
34. შოფერ ივანე მიხეილის-ძე **ილინიხს**
35. უფროს ლეიტენანტს კაზბეკ დრისის-ძე **კარსანოვს**
36. უმცროს მეთაურს კონსტანტინე ანდრიას-ძე **კასკოვს**
37. პოლიტხელის მოადგილეს ალექსი **კივსს**
38. პოლკოვნიკ ვასილ ილიას-ძე **კლევცოვს**
39. ლეიტენანტს ილია ივანეს-ძე **კლიმოვს**
40. შოფერ ვასილ სტეფანეს-ძე **კლიუკინს**
41. უმცროს მეთაურს ნიკოლოზ პავლეს-ძე **კოჟანოვს**
42. უმცროს ლეიტენანტს ექვთიმე მიხეილის-ძე **კოზლოვს**
43. ლეიტენანტს ანატოლი ფილიპეს-ძე **კოლომეიცოვს**
44. ლეიტენანტს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **კომაროვს**
45. ლეიტენანტს კონსტანტინე ივანეს-ძე **კორაბლევს**
46. უმცროს პოლიტხელს პეტრე სიმონის-ძე **კოსტროვს**
47. უმცროს მეთაურს ბორის ლევის-ძე **კუზნეცოვს**
48. უმცროს მეთაურს კონსტანტინე გრიგოლის-ძე **კუზნეცოვს**
49. უფროს ლეიტენანტს პეტრე თევდორეს-ძე **კუკსოვს**
50. უფროს ლეიტენანტს პავლე ივანეს-ძე **კულეიკინს**
51. უფროს პოლიტხელს ვიქტორ დიმიტრის-ძე **კუჩერიავის**
52. ლეიტენანტს ალექსანდრე თადეოზის-ძე **ქშენსკის**
53. მექანიკოს-წამყვანს თევდორე ივანეს-ძე **ლამზინს**
54. უფროს პოლიტხელს ანდრია ექვთიმეს-ძე **ლევოჩკინს**
55. პოლკოვნიკს დიმიტრი დანიელის-ძე **ლელიუშენკოს**
56. კაპიტანს ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე **ლეონჩენკოს**
57. წითელარმიელს თევდორე აკიმის-ძე **ლიპატკინს**
58. წითელარმიელს ვასილ ივანეს-ძე **ლიხაჩოვს**
59. წითელარმიელს ივანე პეტრეს-ძე **ლიაკინს**
60. კაპიტანს სახიპ ნურლუგოიანის-ძე **მაისკის**
61. წითელარმიელს იოსებ მარკოზის-ძე **მაქსიმენიას**
62. უმცროს მეთაურს ისაკ მარკოზის-ძე **მანასიანს**
63. უმცროს ლეიტენანტს ალექსანდრე მარკოზის-ძე **მარკოვს**
64. უმცროს ლეიტენანტს ვიქტორ გრიგოლის-ძე **მასიჩს**
65. უმცროს მეთაურს ნიკოლოზ ექვთიმეს-ძე **მატვიენკოს**
66. წითელარმიელს კლიმ გრიგოლის-ძე **მატუზოვს**
67. მექანიკოს-წამყვანს ნიკოლოზ ვასილის-ძე **მაშკოვს**
68. უფროს ლეიტენანტს სერგი ივანეს-ძე **მირონოვს**
69. წითელარმიელს ვასილ სერგის-ძე **მიჩურინს**
70. მაიორს სიმონ ივანეს-ძე **მლოდენცევს**
71. ლეიტენანტს ვლადიმერ ათანასეს-ძე **ნაზარენკოს**
72. კაპიტანს ვასილ გაბრიელის-ძე **ნეტრებას**
73. უმცროს მეთაურს ვასილ გრიგოლის-ძე **ნეჩაევს**
74. უმცროს ლეიტენანტს გრიგოლ ევსევის-ძე **ნიკიტენკოს**
75. პოლიტხელს ვასილ თევდორეს-ძე **ოვჩინიკოვს**
76. უმცროს მეთაურს პავლე რომანის-ძე **ოლეინიკოვს**
77. კაპიტანს კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე **ორლოვს**
78. უფროს პოლიტხელს არტემ სპირიდონის-ძე **პასეჩნიკს**
79. კაპიტანს პეტრე მიხეილის-ძე **პეტროვს**
80. პოლიტხელის მოადგილეს ივანე ანდრიას-ძე **პეტრუშინს**
81. უფროს ლეიტენანტს ვლადიმერ ვასილის-ძე **პისმენის**
82. უფროს ლეიტენანტს ივანე ტიმოთეს-ძე **პეტროვს**
83. ლეიტენანტს სტეფანე ივანეს-ძე **პოლიანსკის**
84. პოლიტხელს ალექსანდრე ვასილის-ძე **პროხოროვს**
85. უფროს ლეიტენანტს ივანე ივანეს-ძე **პროშინს**
86. პოლკოვნიკს ივანე გაბრიელის-ძე **პიატიხინს**
87. უმცროს ლეიტენანტს ვასილ პეტრეს-ძე **როზანოვს**
88. უმცროს მეთაურს ალექსანდრე მიხეილის-ძე **რომანენკოვს**
89. უმცროს მეთაურს ანდრია მიხეილის-ძე **სერებრიაკოვს**
90. უფროს ლეიტენანტს ნიკოლოზ პეტრეს-ძე **სენიუტინს**
91. მექანიკოს-წამყვანს ივანე დანიელის-ძე **სივოლაპს**
92. უმცროს ლეიტენანტს ანატოლი პეტრეს-ძე **სიროტკინს**
93. უმცროს მეთაურს ანდრია ვასილის-ძე **სიტკოს**
94. ლეიტენანტს ალექსანდრე ივანეს-ძე **სლოვნოვს**
95. წითელარმიელს ალექსანდრე თევდორეს-ძე **სტებლევს**
96. ლეიტენანტს ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე **სტოლნიკოვს**
97. უფროს ლეიტენანტს დიმიტრი ევგენის-ძე **სტროგანოვს**
98. მექანიკოს-წამყვანს ვასილ ვასილის-ძე **სტრიუჩკოვს**
99. ლეიტენანტს ლუკა თევდორეს-ძე **ტარასოვს**
100. უფროს ლეიტენანტს ანდრია გრიგოლის-ძე **ტელეშოვს**
101. ლეიტენანტს ნიკოლოზ პავლეს-ძე **ტოლმაჩოვს**
102. უმცროს მეთაურს პეტრე იაგორის-ძე **ტოლსტოვს**
103. პოლკოვნიკს დიმიტრი ივანეს-ძე **ტურბინს**
104. ლეიტენანტს ნიკოლოზ თევდორეს-ძე **ტურცევიჩს**
105. უმცროს ლეიტენანტს მიხეილ პეტრეს-ძე **ტიურინს**
106. უმცროს მეთაურს ივანე ნიკიტას-ძე **უდაროვს**
107. ლეიტენანტს ვასილ თევდორეს-ძე **ფედოროვს**
108. კაპიტანს ევგენი პეტრეს-ძე **ფედოროვს**
109. უმცროს მეთაურს პავლე სტეფანეს-ძე **ფედორჩუკს**
110. წითელარმიელს თევდორე ალექსის-ძე **ხარიტონოვს**
111. ლეიტენანტს ივანე სტეფანეს-ძე **ხუდიაკოვს**
112. პოლიტხელს მიხეილ ვასილის-ძე **ჩერნიკოვს**
113. უმცროს მეთაურს ალექსანდრე კონდრატის-ძე **ჩერნიშოვს**
114. ბრიგადის მეთაურს სტეფანე ივანეს-ძე **ჩერნიაკს**
115. უფროს ლეიტენანტს დემიდ იაკობის-ძე **შევენოკს**
116. ლეიტენანტს ნიკოლოზ თევდორეს-ძე **შმელიოვს**
117. უფროს ლეიტენანტს თევდორე ივანეს-ძე **შინკარენკოს**
118. ბატალიონის კომისარს ლეონტი ეგნატეს-ძე **იაკოვენკოს**
119. პოლიტხელს ივანე თევდორეს-ძე **იაკუშენკოს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1940 წლის 7 აპრილი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის ჯარის ნაწილებისა და შენაერთების სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

ფინეთის თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნან:

ლენინის ორდენით

136 მსროლელი დივიზია
39 ცალკე მსუბუქ-სატანკო ბრიგადა

წითელი დროშის ორდენით

17 მოტო-მსროლელი დივიზია
49 მსროლელი დივიზია
90 მსროლელი დივიზია
40 ცალკე მსუბუქ-სატანკო ბრიგადა
69 მსროლელი პოლკი
271 მოტო-მსროლელი პოლკი
306 მსროლელი პოლკი
359 მსროლელი პოლკი
43 კორპუსის მძიმე საარტილერიო პოლკი
49 კორპუსის მძიმე საარტილერიო პოლკი
101 საგაუბიცო საარტილერიო პოლკი
116 საგაუბიცო საარტილერიო პოლკი
137 საგაუბიცო საარტილერიო პოლკი
202 საარტილერიო პოლკი
291 მსუბუქ-საარტილერიო პოლკი
311 საზარბაზნო საარტილერიო პოლკი
334 საარტილერიო პოლკი
455 კორპუსის საარტილერიო პოლკი
227 მესანგრეთა ცალკე ბატალიონი
4 კავშირგაბმულობის ცალკე ბატალიონი
6 საპონტონო-სახიდე ცალკე ბატალიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1940 წლის 7 აპრილი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გაზეთ „ნა სტრაჟე როდინის“ წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

წითელი არმიის ნაწილების პოლიტიკური აღზრდისა და ფინეთის თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე დისციპლინის განმტკიცების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნას გაზეთი „ნა სტრაჟე როდინი“ **წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1940 წლის 7 აპრილი.

წითელი არმიის უფროსთა შემადგენლობისა და წითელარმიელთა დაჯილდოება

ფინელ თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშო შესრულებისათვის და ამასთან გამოჩენილი სიმამაცისა და ვაჟკაცობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 11.744 კაცი—წითელი არმიის უფროსთა შემადგენლობა და წითელარმიელთა შემადგენლობა, უფროსთა შემადგენლობის ოჯახის წევრნი, ჰოსპიტლებისა და სამოქალაქო დაწესებულებათა მუშაკნი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 180 კაცი, **წითელი დროშის** ორდენით—2.598 კაცი, **წითელი ვარსკვლავის** ორდენით—3.032 კაცი, მედლით „მამაცობისათვის“—2.396 კაცი, მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“—3.538 კაცი.

ყველა დაჯილდოებულთა სახელობითი სია ქვეყნდება გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“. (საკდესი).

ბერნარდ შოუს განცხადება

ლონდონი, 7 აპრილი (საკდესი). ყოველკვირეულ ჟურნალ „ლიდერში“, რომელსაც ერთი მილიონი ცალი ტირაჟი აქვს, გამოქვეყნებულია ინტერვიუ ბერნარდ შოუსთან სსრ კავშირსა და ფინეთს შორის ზავის დადების საკითხზე. კორესპონდენტი შეეკითხა შოუს — ეთანხმება თუ არა იგი იმათ, ვისაც საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზავო ხელშეკრულება ახალ მიუნხენად მიაჩნია, თუ, მისი აზრით, ფინელებს სხვა გამოსავალი არა ჰქონდა. შოუმ უპასუხა: „რად მეკითხებით ამას? მე მგონია, საკმაოდ ნათლად გამოვთქვი ჩემი აზრი, როდესაც გავაფრთხილე ინგლისელი ხალხი, რომ ბალტიკაში სწორად ვერ ავირჩიეთ ფალავანი. საბჭოთა კავშირ-ფინეთის ხელშეკრულება საუკეთესო ახალი ამბავი იყო ომის დაწყებიდან განვლილი მთელი დროის მანძილზე. მან გადაგვარჩინა იმ საშინელ შეცდომას, რომლის გამოც ბეწვზე ვეკიდეთ: მან თავიდან აგვაცილა კლასობრივ ომში ჩათრევა რუსეთის წინააღმდეგ, რაც ჩვენს ძველ რეაქციონერთა შორის ყველაზე გიჟი ხალხის უდიდეს სურვილს და მეტისმეტად უგუნურ ოცნებას წარმოადგენს“. შეკითხვაზე როგორ ფიქრობს იგი, აქვს თუ არა განზრახვა სსრ კავშირს წაიწიოს წინ დასავლეთისაკენ, შოუმ უპასუხა: „რად სჭირდება ეს მას? ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ სტალინს უამისოდაც ცოტა საქმე აქვს? ყოველივე ის, რაც მან ფინეთში გააკეთა ახლა, როდესაც იგი მის ხელში აღმოჩნდა, იმით გამოიხატა, რომ მან უზრუნველჰყო თავისთვის თავისი სადარბაზო კარის გასაღები. მის ადგილას რომ გერმანიის ან ინგლისის მთავრობა ყოფილიყო, ისინი მთელ ფინეთს დაიკავებდნენ და, შესაძლოა, უფრო შორსაც, ნარვიკამდეც კი წასულიყვნენ ნორვეგიაში. მაგრამ შეუძლებელია დააჯერო იმპერიალისტები იმაში, რომ კომუნისტები ისეთები არ არიან, როგორიც თვითონ ისინი არიან“.

ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრის კუტის გამოსვლა

ოსლო, 7 აპრილი (საკდესი). ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ 6 აპრილს სტორტინგში ნორვეგიის საგარეო პოლიტიკის საკითხზე განცხადებით გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი კუტი.

„ჩვენ,—განაცხადა კუტმა,—ფიქრიც კი არ შეგვიძლია რაიმე ომზე, რომელშიაც შეიძლება ჩაებას ნორვეგია, გარდა ისეთი ომისა, რომელშიც იძულებული გავხდებით ჩავებათ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა და თავისუფლება დავიცვათ. ჩვენ ომს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავაღწევთ თავს, თუ მტკიცე ნეიტრალიტეტის პოლიტიკას გავატარებთ ყველა დარგში. ჩვენ ეს უკვე მოვიმოქმედეთ სავაჭრო პოლიტიკაში, სადაც ყველა საკითხის მოწესრიგება ხდება მეომარ სახელმწიფოებთან დადებული შეთანხმებებით, რომლებიც ემყარება ნორმალური ვაჭრობისათვის მხარდაჭერის პრინციპს, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

ჩვენ ცხადვყავით, რომ ჩვენს ტერიტორიალურ წყლებს დავიცავთ ყველასაგან, ვინც კი შეეცდება უკანონოდ შემოიჭრას ამ წყლებში. ეჭვს გარეშეა, რომ ბევრი აზვიადებს შვეციის მადნის ექსპორტს გერმანიაში ნარვიკზე გავლით. შვეციის იმ მადნის რაოდენობა, რაც გერმანიაში გააქვთ, ომის განმავლობაში ერთი მეოთხედით შემცირდა, და ამჟამად ნარვიკზე გავლით შვეციის მადანი გაცილებით მეტი მიდის ინგლისში, ვიდრე გერმანიაში. ნორვეგიის წყლებში სავაჭრო გემების თავისუფლად გავლის უფლება ხელსაყრელია მოკავშირეებისათვის იმდენადვე, რამდენადაც გერმანიისთვისაც. როგორც ჩვენი, ისე შვეციის ვაჭრობა მეომარ სახელმწიფოებთან დადებული შეთანხმებებით წესრიგდება“.

„თუ მოკავშირეებს უნდათ,—აღნიშნა კუტმა,—რომ შევწყვიტოთ თავისუფალი ვაჭრობა. რაც საერთაშორისო სამართლის იმ ნორმების შესაბამისად ტარდება, რომლებიც აღიარებულია საყოველთაოდ და მათ შორის ინგლისისა და საფრანგეთის მიერაც, ეს მათვე მიაყენებდათ დიდ ზიანს. ამ ვაჭრობის შეწყვეტა რომ მხოლოდ ერთი მხარის წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული, მაშინ ასეთი ღონისძიება სავსებით იწინააღმდეგებოდა ჩვენს ნეიტრალიტეტს. რომლის დაცვაც ვიკისრეთ, და ჩვენი ქვეყანა მაშინვე აღმოჩნდებოდა ომის მდგომარეობაში“.

კუტმა მოიხსენია, რომ ნორვეგიის მთავრობამ მთელი რიგი პროტესტები განუცხადა მეომარ ქვეყნებს უცხოეთის თვითმფრინავების მიერ ნორვეგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის წინააღმდეგ. „ნორვეგიის ნეიტრალიტეტის დარღვევა, რაც უცხოეთის თვითმფრინავებმა ჩაიდინეს უკანასკნელ დღეებში,—განაცხადა კუტმა,—არ შეიძლებოდა წინასწარ განზრახული არ ყოფილიყო. ჩვენ ეს ლონდონსა და ბერლინში გამოვარკვიეთ და იმედი გვაქვს, რომ მეომარი ქვეყნები ბოლოს მოუღებენ ამ პრაქტიკას, რომელსაც არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია ომის მიზნებისათვის. ჩვენ კი ჩვენის მხრივ ვერ დავკმაყოფილდებით პროტესტების გაგზავნით და ჩამოვაგდებთ ასეთ თვითმფრინავებს“.

კუტმა განაცხადა, რომ მომხდარ ინციდენტთა შორის არცერთი არ ყოფილა ისეთი დიდი, როგორიც იყო ის ინციდენტი, რომელიც „ალტმარკს“ შეემთხვა. „თუმცა ამ ინციდენტთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებში,—სთქვა მან, — ინგლისისა და ნორვეგიის მთავრობებს შორის მიღწეულია შეთანხმება, მაგრამ მაინც გამოურკვეველი დარჩა ერთი საკითხი, რომელსაც დამოკიდებულება აქვს საერთაშორისო სამართალთან“.

შეეხო რა იმ ზარალის საკითხს, რომელიც ნორვეგიას მოსდის გაშლილ ზღვებში თავისი საზღვრების ფარგლებს გადაღმა, კუტმა განაცხადა, რომ ნორვეგიამ ამ ომის შედეგად დაჰკარგა 54 გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 120 ათას ტონას აღემატება. დაიღუპა 392 მეზღვაური. კუტმა სხვათაშორის პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს საფოსტო გემ „მირს“, რომელიც ინგლის-ნორვეგიის ხაზით მიდიოდა და რომელსაც ინგლისის გემი ჰბადრაგობდა.

შემდეგ კუტი შეეხო ინგლისის გაზეთების მტკიცებას იმის შესახებ, რომ თითქოს ნორვეგიამ არ უნდა განაცხადოს პროტესტები ნაოსნობის წესების დარღვევის წინააღმდეგ და, როგორც ინგლისის პრესა ამბობს, ინგლისის მიერ „ნეიტრალიტეტის ტექნიკური დარღვევის“ წინააღმდეგ. კუტმა განაცხადა: „ის, რასაც ინგლისელები „ნეიტრალიტეტის ტექნიკურ დარღვევას“ უწოდებენ, მარტო ფორმალურ საკითხებს როდი შეეხება. ამას აგრეთვე უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან არავის შეუძლია არ შენიშნოს, რომ ასეთ დარღვევას საბოლოოდ შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ ნორვეგიის ტერიტორიული წყლები, ხოლო, შესაძლოა, ნორვეგიის ტერიტორიაც, მეომარ სახელმწიფოთა ბრძოლის ასპარეზად გადაიქცეს და რომ მაშინ ნორვეგია ჩათრეული იქნება დიდ ომში. ამის შესაბამისად ნორვეგია არა მარტო იცავს უფლებას, არამედ იგი ამავე დროს თავისთავს იცავს იმისაგან, რომ ჩათრეულ იქნას ომში. ნეიტრალიტეტის ეგრეთწოდებული „უვნებელი“ დარღვევის საკითხი ეხება ჩვენი ხალხის ინტერესებს“.

შეეხო რა ჩრდილოეთის ქვეყნების „თავდაცვითი კავშირის“ საკითხს, კუტმა განაცხადა, რომ ამ პრობლემაში ყველაზე მნიშვნელოვანია საქმის პოლიტიკური მხარე. მოიხსენია რა სსრ კავშირის გალაშქრება ასეთი კავშირის დადების წინააღმდეგ, კუტმა განაცხადა: „ფინეთმა უნდა განიხილოს საზავო ხელშეკრულების რუსული განმარტება, რამდენადაც ნორვეგია და შვეცია ამ ხელშეკრულების მონაწილენი არ არიან“. „ყოველ შემთხვევაში,—დასძინა მან, — ჩვენთვის უმჯობესია დაველოდოთ და არ მივიღოთ რაიმე გადაწყვეტილება განზრახული კავშირის შესახებ. ფინეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს პრობლემა—მტკიცე მშვიდობიანობის პირობებში იცხოვროს თავის უძლიერეს აღმოსავლეთელ მეზობელთან“.

ნორვეგიის მთავრობა,—განაცხადა შემდეგ კუტმა,—არ აპირებს რაიმე ვალდებულება იკისროს „თავდაცვითი კავშირის“ საკითხზე მანამდე, სანამ სტორტინგს შესაძლებლობა არ ექნება განიხილოს ეს საკითხი.

დასასრულ კუტმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მცირე ნეიტრალური ქვეყნები მოითხოვენ, რათა მეომარი სახელმწიფოები არა მარტო პრინციპულად, არამედ პრაქტიკულადაც პატივისცემით ეპყრობოდნენ მათს ნაციონალური დამოუკიდებლობის უფლებას როგორც ახლანდელი ომის დროს, ისე ამ ომის დამთავრების შემდეგაც.

სსრ კავშირის 1 ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

კანონები, მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ

კანონი

მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შესახებ

I. საერთო დებულებანი

მუხლი 1. საშემოსავლო გადასახადით იბეგრებიან მუშები, მოსამსახურეები, ლიტერატორები, ხელოვნების მუშაკები, შინამრეწველნი, ხელოსნები და სხვა მოქალაქენი, რომელთაც შემოსავლის დამოუკიდებელი წყარო აქვთ სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

მუხლი 2. გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდებიან:

ა) საბჭოთა კავშირის გმირები, სსრ კავშირის ორდენებით ან საპატიო რევოლუციური იარაღით დაჯილდოებული მოქალაქენი და შრომის გმირები—იმ ხელფასის მიხედვით, რასაც ისინი იღებენ.

სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლის მიხედვით ეს მოქალაქენი გადასახადისაგან თავისუფლდებიან, თუ მათი შემოსავალი არ აღემატება 6.000 მანეთს წელიწადში, ხოლო თუ შემოსავალი 6.000 მანეთს აღემატება წელიწადში, დასაბეგრი შემოსავლიდან გამოირიცხება 6.000 მანეთი;

ბ) სამხედრო მოსამსახურენი და სამხედრო ვალდებულნი — იმ ფულადი კმაყოფის მიხედვით, რომელსაც ისინი იღებენ მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში, მუშურ-გლეხურ სამხედრო-საზღვაო ფლოტში, შინსახკომის სასაზღვრო და შინადაცვის ჯარში;

გ) მუშები და მოსამსახურენი, რომელნიც იღებენ ხელფასს არაუმეტეს 150 მანეთისა თვეში;

დ) ოქროსა და პლატინის მრეწველობაში მომუშავე-მაძიებელნი, კალისა და სხვა იშვიათი ლითონების მოპოვებასა და გადამუშავებაზე მომუშავე-მაძიებელნი — იმ ხელფასის მიხედვით, რომელსაც ისინი სამძებნელო სამუშაოებზე იღებენ;

ე) მოსწავლე-სტიპენდიატები, რომელნიც იღებენ სტიპენდიას არაუმეტეს 210 მანეთისა თვეში, — ამ სტიპენდიის მიხედვით;

ვ) არაკოოპერირებული შინამრეწველნი და ხელოსნები, შინობათა მფლობელნი და სხვა მოქალაქენი, რომელთა შემოსავალი არ აღემატება 600 მანეთს წელიწადში;

ზ) პენსიონერები — იმ პენსიის მიხედვით, რომელსაც ისინი იღებენ.

მუხლი 3. სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მოკავშირე რესპუბლიკათა ფინანსთა სახალხო კომისარიატებს უფლება ეძლევათ დააწესონ დამატებითი შეღავათები გადასახადზე ცალკეულ გადამხდელთათვის და გადამხდელთა ჯგუფებისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს, სამხარეო და საოლქო საფინანსო განყოფილებებს უფლება ეძლევათ დააწესონ შეღავათები ცალკეულ გადამხდელთათვის.

მუხლი 4. საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება შემოსავალი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით უნდა დაიბეგროს.

II. მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის დაბეგვრის წესი

მუხლი 5. მუშებსა და მოსამსახურეებს გადასახადი გადახდებათ ყოველთვიურად გასული თვის მათი შემოსავლის მიხედვით შემდეგი რაოდენობით:

თვიური შემოსავლის ოდენობა	გადასახადის თვიური თანხა
151 მანეთიდან 200 მანეთამდე	1 მან. 20 კაპ.+იმ თანხის 3 პროცენტი, რომელიც 150 მანეთს აღემატება.
201 მანეთიდან 300 მანეთამდე	2 მან. 70 კაპ.+იმ თანხის 3,3 პროცენტი, რომელიც 200 მანეთს აღემატება.
301 მანეთიდან 500 მანეთამდე	6 მან. 00 კაპ.+იმ თანხის 4 პროცენტი, რომელიც 300 მანეთს აღემატება.
501 მანეთიდან 700 მანეთამდე	14 მან. 00 კაპ.+იმ თანხის 5 პროცენტი, რომელიც 500 მანეთს აღემატება.
701 მანეთიდან 1.000 მანეთამდე	24 მან. 00 კაპ.+იმ თანხის 6 პროცენტი, რომელიც 700 მანეთს აღემატება.
1001 მანეთი და მეტი	42 მან. 00 კაპ.+იმ თანხის 7 პროცენტი, რომელიც 1.000 მანეთს აღემატება.

მუხლი 6. მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადით დასაბეგრ თვიურ შემოსავალში შედის იმ შემოსავლის ყველა თანხა, რომელიც მათ მიიღეს გასულ თვეში, როგორიცაა: ძირითადი ხელფასი, ზედმეტ საათებში და ნარდად მუშაობისათვის მიღებული თანხები, პერსონალური დანამატები, პრემიები, რომლებიც მათ ეძლევათ შრომის პრემიალურ-წახალისებითი ანაზღაურების დროს, კომპენსაცია გამოუყენებელი შვებულებისათვის და სხვ.

მუხლი 7. მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადით დასაბეგრი თვიური ხელფასის შემადგენლობაში გადასახადის გამოანგარიშებისას არ შეიტანება:

ა) ერთდროული პრემიები და ჯილდოები, რაც ადმინისტრაციის ბრძანებებით მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ განსაკუთრებულ მიღწევათა და დამსახურებათათვის;

ბ) თანხები, რომლებიც მათ შრომის მომქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ეძლევათ მივლინებათა ხარჯების ასანაზღაურებლად და სხვა ადგილებში სამუშაოდ გაგზავნისას;

გ) თანხები, რომლებიც ეძლევათ მედიცინის, ვეტერინარ და ზოოტექნიკოს მუშაკებს და განათლების მუშაკებს, რომელნიც სოფლებში და მუშათა დაბებში ცხოვრობენ, ნაცვლად იმისა, რომ მათ უფასო ბინები მისცენ ნატურით;

დ) ყოველგვარი ნატურალური განაცემი, რომელიც არ შედის მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის შემადგენლობაში, აგრეთვე ამ განაცემთა ნაცვლად მიღებული ფულადი თანხები;

ე) დახმარება შრომის უნარის დროებითი დაკარგვის გამო, გამოსასვლელი დახმარება და სხვ;

ვ) თანხები, რომლებიც მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ მათი კუთვნილი იარაღების ამორტიზაციისათვის.

მუხლი 8. მუშათა და მოსამსახურეთა იმ შემოსავალზე, რასაც ისინი შეთავსებით (არა ძირითად სამუშაო ადგილზე) და დროებითი სამუშაოების შესრულებით იღებენ, გადასახადი გამოიანგარიშება ცალკე, მუშაობის თვითეული ადგილის მიხედვით. არადასაბეგრი მინიმუმი (მუხ. 2) ამ შემოსავალს არ შეუფარდდება, და შემოსავალზე, რომელიც თვეში 150 მანეთს უდრის, გადასახადი გამოიანგარიშება თვიური შემოსავლის თანხის 0,8 პროცენტის რაოდენობით.

მუხლი 9. მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომელთაც კმაყოფაზე ჰყავთ სამ კაცზე მეტი, გადასახადის ოდენობა ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით მცირდება 30 პროცენტით.

აღნიშნული შეღავათი ეძლევათ კმაყოფაზე მყოფთა რაოდენობის შესახებ სახლსამმართველოს ან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ცნობის საფუძველზე. ცნობები წარდგენილ უნდა იქნას ყოველწლიურად.

მუხლი 10. მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადი გამოიანგარიშება საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ და ყოველთვიურად გამოექვითებათ თვის მეორე ნახევრის ხელფასიდან.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს, სამხარეო და საოლქო საფინანსო განყოფილებებს უფლება ეძლევათ ცალკეულ შემთხვევებში საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შუამდგომლობით ნება დართონ გადასახადის გამოქვითვა მოხდეს შემდეგი თვის ხელფასიდან.

მუხლი 11. საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ბანკის დაწესებულებებისაგან ხელფასის გასაცემად თანხების მიღებასთან ერთად ბიუჯეტის ანგარიშზე გადარიცხავენ გადასახადის იმ თანხებს, რომლებიც მუშებსა და მოსამსახურეებს უნდა დაეკავოს.

იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც ბანკის დაწესებულებებში საანგარიშსწორებო ანგარიშები არა აქვთ, მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დაკავებული გადასახადის თანხები ბანკის დაწესებულებებში შეაქვთ თანხების დაკავების მეორე დღეს.

მუხლი 12. საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველკვარტალურად წარუდგინონ რაიონულ (საქალაქო) საფინანსო განყოფილებებს ანგარიში მუშებისა და მოსამსახურეებისათვის გადასახადის დაკავების შესახებ იმ ფორმების მიხედვით და იმ ვადებში, რომლებსაც სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი დააწესებს.

მუხლი 13. მუშათა და მოსამსახურეთა თანაბრად იბეგრებიან გადასახადით:

ა) მოსწავლეები, რომლებიც იღებენ სტიპენდიას თვეში 210 მანეთზე მეტს, და ასპირანტები;

ბ) ადვოკატები — იმ გასამრჯელოს მიხედვით, რომელსაც ისინი იურიდიულ კონსულტაციებში მუშაობისათვის იღებენ.

მუხლი 14. მუშათა და მოსამსახურეთა თანაბრად, მაგრამ გადასახადის ოდენობის 10 პროცენტით გადიდებით იბეგრებიან:

ა) კოოპერირებული შინამრეწველები და ხელოსნები, რომლებიც არტელების საერთო სახელოსნოებში მუშაობენ;

ბ) კოოპერირებული შინამრეწველები და ხელოსნები, აგრეთვე მუშები და მოსამსახურეები — იმ ხელფასის მიხედვით, რასაც ისინი არტელებისა და საწარმოებისაგან იღებენ თავიანთ სახლში მუშაობისათვის, თუ ისინი არ ასრულებენ სამუშაოს ცალკეული მო-

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

კანონები, მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ

კ ა ნ ო ნ ი

მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შესახებ

(დასასრული)

ქალაქეებისათვის, არ იყენებენ სარეწაოში საკუთარ მასალას და არ იყენებენ თავიანთ მუშაობაში სპეციალურ მოწყობილობას (მანქანებს, გარდა საკერავი მანქანებისა, დაზგებსა და სხვ.);

გ) სატრანსპორტო სარეწაო-კოოპერატიული არტელების წევრები, რომელთა მუშა-საქონელი განსაზღვრულია.

მუხლი 15. მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის დასაბეგრად დაწესებული განაკვეთების მიხედვით იბეგრებიან გადასახადით:

ა) მოქალაქეები, რომლებიც გასამრჯელოს იღებენ თავიანთი გამოგონებებისათვის, რაზედაც გაცემულია საავტორო მოწმობები, აგრეთვე მოქალაქეები, რომლებიც გასამრჯელოს იღებენ ტექნიკური და ორგანიზაციული გაუმჯობესებისათვის;

ბ) მოქალაქეები, რომლებიც დამამზადებლებს აბარებენ ტყავისა და ბეწვეულის ნედლეულს, დამამზადებლებისათვის ნედლეულის ჩაბარებისაგან მიღებული შემოსავლის მიხედვით.

III. ლიტერატორთა და ხელოვნების მუშაკთა ხელფასის დაბეგვრის წესი

მუხლი 16. ლიტერატორთა და ხელოვნების მუშაკთა ხელფასზე (მათ შორის არტისტების მიერ მუდმივ სამუშაო ადგილს გარეთ მიღებული ხელფასიდანაც) გადასახადი წესდება ხელფასის მიცემის თვითეული ადგილის მიხედვით, შემდეგი რაოდენობით:

წლიური შემოსავლის ოდენობა	გადასახადის თანხა
1.800 მანეთამდე	შემოსავლის თანხის 0,8 პროცენტი.
1.801 მანეთიდან 2.400 მანეთამდე	14 მან. 40 კაპ.+იმ თანხის 3 პროცენტი, რომელიც 1.800 მანეთს აღემატება.
2.401 მანეთიდან 3.600 მანეთამდე	32 მან. 40 კაპ.+იმ თანხის 3,3 პროცენტი, რომელიც 2.400 მანეთს აღემატება.
3.601 მანეთიდან 6.000 მანეთამდე	72 მან. 00 კაპ.+იმ თანხის 4 პროცენტი, რომელიც 3.600 მანეთს აღემატება.
6.001 მანეთიდან 8.400 მანეთამდე	168 მან. 00 კაპ.+იმ თანხის 5 პროცენტი, რომელიც 6.000 მანეთს აღემატება.
8.401 მანეთიდან 12.000 მანეთამდე	288 მან. 00 კაპ.+იმ თანხის 6 პროცენტი, რომელიც 8.400 მანეთს აღემატება.
12.001 მანეთიდან 20.000 მანეთამდე	504 მან. 00 კაპ.+იმ თანხის 7 პროცენტი, რომელიც 12.000 მანეთს აღემატება.
20.001 მანეთიდან 30.000 მანეთამდე	1.064 მან. 00 კაპ.+იმ თანხის 8 პროცენტი, რომელიც 20.000 მანეთს აღემატება.
30.001 მანეთიდან 50.000 მანეთამდე	1.864 მან. 00 კაპ.+იმ თანხის 10 პროცენტი, რომელიც 30.000 მან. აღემატება.
50.001 მანეთიდან 70.000 მანეთამდე	3.864 მან. 00 კაპ.+იმ თანხის 12 პროცენტი, რომელიც 50.000 მან. აღემატება.
70.001 მანეთიდან 100.000 მანეთამდე	6.264 მან. 00 კაპ.+იმ თანხის 17 პროცენტი, რომელიც 70.000 მან. აღემატება.
100.001 მანეთიდან 150.000 მანეთამდე	11.364 მან. 00 კაპ.+იმ თანხის 25 პროცენტი, რომელიც 100.000 მან. აღემატება.
150.001 მანეთიდან 200.000 მანეთამდე	23.864 მან. 00 კაპ.+იმ თანხის 35 პროცენტი, რომელიც 150.000 მან. აღემატება.
200.001 მანეთიდან 300.000 მანეთამდე	41.364 მან. 00 კაპ.+იმ თანხის 45 პროცენტი, რომელიც 200.000 მან. აღემატება.
300.001 მანეთიდან და მეტი	86.364 მან. 00 კაპ.+იმ თანხის 50 პროცენტი, რომელიც 300.000 მან. აღემატება.

მუხლი 17. ლიტერატორებისა და ხელოვნების მუშაკთა გადასახადის გამოანგარიშება და დაქვითვა ხდება საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ ხელფასის გაცემის დროს. ხელფასის ყოველი შემდგომი გაცემის დროს ხდება გადასახადის გადაანგარიშება იმ საერთო თანხების მიხედვით, რომლებიც გაცემულია მიმდინარე წელს.

მე-2 მუხლით დაწესებული დაუბეგრავი მინიმუმი ლიტერატორებისა და ხელოვნების მუშაკთა შემოსავლის დაბეგვრის დროს შეფარდებული არ იქნება.

IV. არაკოოპერირებული შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის, ნაგებობათა, ქალაქად არსებული სასოფლო მეურნეობის შემოსავლისა და არადაქირავებული შრომით მიღებული სხვა შემოსავლის დაბეგვრის წესი

მუხლი 18. არაკოოპერირებული შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის, ნაგებობათა, ქალაქად და მუშათა დაბებში არსებული სასოფლო მეურნეობის შემოსავალზე და სხვა შემოსავალზე, გარდა იმ შემოსავლისა, რომელიც იბეგრება 5, 13, 14, 15, 16 და 22 მუხლებით, გადასახადი წესდება შემდეგი რაოდენობით:

წლიური შემოსავლის ოდენობა	გადასახადის თანხა
1,200 მანეთამდე	შემოსავლის თანხის 4 პროცენტი
1.201 მანეთიდან 1.800 მანეთამდე	48 მან.+იმ თანხის 6 პროცენტი, რომელიც 1.200 მანეთს აღემატება
1.801 მანეთიდან 2.400 მანეთამდე	84 მან.+იმ თანხის 10 პროცენტი, რომელიც 1.800 მანეთს აღემატება
2.401 მანეთიდან 3.600 მანეთამდე	144 მან.+იმ თანხის 14 პროცენტი, რომელიც 2.400 მანეთს აღემატება
3.601 მანეთიდან 4.800 მანეთამდე	312 მან.+იმ თანხის 18 პროცენტი, რომელიც 3.600 მანეთს აღემატება
4.801 მანეთიდან 6.000 მანეთამდე	528 მან.+იმ თანხის 23 პროცენტი, რომელიც 4.800 მანეთს აღემატება
6.001 მანეთიდან 8.400 მანეთამდე	804 მან.+იმ თანხის 30 პროცენტი, რომელიც 6.000 მანეთს აღემატება.
8.401 მანეთიდან 12.000 მანეთამდე	1.524 მან.+იმ თანხის 38 პროცენტი, რომელიც 8.400 მანეთს აღემატება
12.001 მანეთიდან 18.000 მანეთამდე	2.892 მან.+იმ თანხის 46 პროცენტი, რომელიც 12.000 მანეთს აღემატება.
18.001 მანეთიდან 24.000 მანეთამდე	5.652 მან.+იმ თანხის 55 პროცენტი, რომელიც 18.000 მანეთს აღემატება
24.001 მანეთიდან და მეტი	8.952 მან.+იმ თანხის 60 პროცენტი, რომელიც 24 ათას მანეთს აღემატება

მუხლი 19. საკუთარი მასალისაგან ნაწარმთა მკეთებელ არაკოოპერირებულ შინამრეწველთა, აგრეთვე თავიანთი ცხენებით, ჯორებით, აქლემებით და სხვა პირუტყვით მომუშავე მეეტლეთა გადასახადით დაბეგვრისას, გადასახადის ოდენობა მატულობს 35 პროცენტით, ხოლო რელიგიური კულტების მოსამსახურეთა და არაშრომითი შემოსავლის მქონე სხვა პირთა დაბეგვრისას — 40 პროცენტით.

მუხლი 20. არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთა თანაბარ საფუძველზე, მაგრამ გადასახადის ოდენობის 35 პროცენტით გაუდიდებლად, გადასახადით იბეგრებიან:

ა) კოოპერირებული შინამრეწველები და ხელოსნები, აგრეთვე მუშები და მოსამსახურეები იმ შემოსავლის მიხედვით, რომელიც მიიღება არტელებისა და საწარმოებისაგან შინ მუშაობით, თუ ისინი, არტელებისა და საწარმოების გარდა, მუშაობას ეწევიან ცალკეული მოქალაქეებისათვის, ან რეწვაში იყენებენ საკუთარ მასალას, ან თავის მუშაობაში იყენებენ სპეციალურ მოწყობილობას (მანქანები, გარდა საკერავ მანქანებისა, დაზგები და სხვ.);

ბ) სატრანსპორტო სარეწაო-კოოპერატიული არტელების წევრები, რომელთა მუშა-პირუტყვი განსაზღვრული არ არის.

მუხლი 21. ქალაქებსა და მუშათა დაბებში არსებული სასოფლო მეურნეობის შემოსავალი იბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

სოფლის მეურნეობის დასაბეგრი შემოსავალი განისაზღვრება შემოსავლიანობის იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის მომიჯნავე რაიონებში.

სოფლის მეურნეობის დასაბეგრ შემოსავალში შეიტანება აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით მიღებული თანხაც.

იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელთა დამხმარე სასოფლო მეურნეობა არ აღემატება სათანადო რაიონის კოლმეურნეთათვის სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით ნებადართულ ოდენობას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით მიღებული თანხა დასაბეგრ შემოსავალში არ შეეტანებათ.

მუხლი 22. ექიმების, ფერშლების, ვექილების, მასწავლებლებისა და სხვა პირთა კერძო პრაქტიკით მიღებული შემოსავალი საშემოსავლო გადასახადით იბეგრება შემდეგი ოდენობით:

წლიური შემოსავლის ოდენობა	გადასახადის განაკვეთი
1.000 მანეთამდე	შემოსავლის თანხის 1 პროცენტი
1.000 მანეთზე მეტი 2000 მანეთამდე	10 მან.+იმ თანხის 1,5 პროცენტი, რომელიც 1.000 მანეთს აღემატება
2.000 მანეთზე მეტი 3.000 მანეთამდე	25 მან.+იმ თანხის 3,3 პროცენტი, რომელიც 2.000 მანეთს აღემატება
3.000 მანეთზე მეტი 4.000 მანეთამდე	58 მან.+იმ თანხის 3,7 პროცენტი, რომელიც 3.000 მანეთს აღემატება
4.000 მანეთზე მეტი 5.000 მანეთამდე	95 მან.+იმ თანხის 4,5 პროცენტი, რომელიც 4.000 მანეთს აღემატება
5.000 მანეთზე მეტი 6.000 მანეთამდე	140 მან.+იმ თანხის 7,5 პროცენტი, რომელიც 5000 მანეთს აღემატება
6.000 მანეთზე მეტი 8000 მანეთამდე	215 მან.+იმ თანხის 13 პროცენტი, რომელიც 6000 მანეთს აღემატება
8.000 მანეთზე მეტი 10.000 მანეთამდე	475 მან.+იმ თანხის 20 პროცენტი, რომელიც 8.000 მანეთს აღემატება
10.000 მანეთზე მეტი 12.000 მანეთამდე	875 მან.+იმ თანხის 25 პროცენტი, რომელიც 10.000 მანეთს აღემატება.
12.000 მანეთზე მეტი 15.000 მანეთამდე	1.375 მან.+იმ თანხის 30 პროცენტი, რომელიც 12.000 მანეთს აღემატება
15.000 მანეთზე მეტი 20.000 მანეთამდე	2.275 მან.+იმ თანხის 34 პროცენტი, რომელიც 15.000 მანეთს აღემატება.
20.000 მანეთზე მეტი	3.975 მან.+იმ თანხის 38 პროცენტი, რომელიც 20.000 მანეთს აღემატება.

მუხლი 23. გადასახადი გამოიანგარიშება ყველა წყაროს საერთო შემოსავლის მიხედვით, მოქალაქეთა იმ შემოსავლის გარდა, რომელიც 5,13,14, 15,16 და 22 მუხლების წესით იბეგრება.

დასაბეგრ შემოსავლად ითვლება განსხვავება საერთო შემოსავალსა (ფულადი და ნატურალური ფორმით) და მოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს შორის.

შემოსავალი, რომელიც მიღებულია ნატურალური ფორმით (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, სათბობით, შინამრეწველური ნაწარმით და სხვ.) დასაბეგრი შემოსავლის გამორკვევის დროს ადგილობრივი საბაზრო ფასების მიხედვით გამოიანგარიშება.

მუხლი 24. დასაბეგრ შემოსავალში არ შეიტანება და გადასახადით არ დაიბეგრება:

ა) სსრ კავშირის სახელმწიფო სესხთა ობლიგაციების მოგებანი და ამ ობლიგაციათა პროცენტები, აგრეთვე მთავრობის მიერ ნებადართული ლატარიების მოგებანი;

ბ) სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრების პროცენტები;

გ) სადაზღვევო გასამრჯელო, რომელსაც გადამხდელი იღებს პირადი და ქონებრივი დაზღვევის წესების საფუძველზე;

დ) მრავალშვილიანი დედებისათვის მიცემული სახელმწიფო დახმარება;

ე) გადამხდელის კუთვნილი ქონების გაყიდვით მიღებული თანხები;

ვ) მემკვიდრეობის ან ჩუქების წესით მიღებული თანხები;

ზ) მატერიალური დახმარების სახით მიღებული თანხები;

ი) ალიმენტები.

მუხლი 25. გადასახადით დაბეგვრას 18 და 22 მუხლების წესით აწარმოებენ რაიონული (საქალაქო) საფინანსო განყოფილებები გადამხდელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ სარეწაო სხვა რაიონში მდებარეობს — სარეწაოს მდებარეობის ადგილის მიხედვით.

მუხლი 26. მე-18, 19, 20, 21 და 22 მუხლებში ჩამოთვლილი გადამხდელები გადასახადს შემდეგი წესით იხდიან:

ა) ყოველ კვარტალში შეაქვთ წინა წლის შემოსავლის მიხედვით გამოანგარიშებული გადასახადის წლიური განაკვეთის 25 პროცენტი, ხოლო იმ გადამხდელებს, რომლებიც პირველად იბეგრებიან — მიმდინარე წლის მოსალოდნელი შემოსავლის მიხედვით გამოანგარიშებული განაკვეთის 25 პროცენტი;

ბ) წლის გასვლის შემდეგ ან შემოსავლის წყაროს არსებობის შეწყვეტის შემდეგ გადასახადის წლიური განაკვეთი გამოიანგარიშება ფაქტიურად მიღებული შემოსავლის კვალობაზე და ამ განაკვეთებსა და გადასახადის გადახდილ თანხებს შორის არსებული განსხვავება დამატებით გადახდება გადამხდელს ან დაუბრუნდება მას 15 დღის ვადაში.

მუხლი 27. საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მეეტლეებისათვის ხელფასის მიცემის დროს უქვითავენ მათ გადასახადის ანგარიშში ხელფასის მისაცემი თანხის 25 პროცენტს და დაქვითულ თანხებს ყოველდეკადურად გადაურიცხავენ ბანკის დაწესებულებებს ბიუჯეტში ჩასარიცხავად.

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ დაკავებულ თანხებს რაიონული (საქალაქო) საფინანსო განყოფილებები ჩარიცხავენ გადასახადის იმ გამოანგარიშებულ გადასახდელთა დასაფარავად, რომლებიც გადახდილ უნდა იქნას საყოველთაოდ დაწესებულ ვადებში.

მუხლი 28. გადასახადის გადასახდელად წესდება შემდეგი ოთხი ვადა 15 მარტი, 15 მაისი, 15 აგვისტო და 15 ნოემბერი.

მუხლი 29. ის გადამხდელები, რომლებიც თავის დროზე არ არიან გადასახადით დაბეგრილი, დაიბეგრებიან გადასახადით არაუმეტეს ორი წინანდელი წლისათვის.

არასწორად დაბეგვრის გადასინჯვა შეიძლება აგრეთვე არაუმეტეს ვიდრე ორი წინანდელი წლისათვის.

V. გადამხდელთა და მათი შემოსავლის აღრიცხვის წესი

მუხლი 30. გადამხდელთა აღრიცხვა და მათი შემოსავლის გამორკვევა ხდება:

ა) გადამხდელთა იმ დეკლარაციების საფუძველზე, რომლებსაც ისინი ყოველწლიურად წარუდგენენ საფინანსო ორგანოებს 15 იანვრისათვის;

ბ) იმ ცნობების საფუძველზე, რომლებსაც საფინანსო ორგანოებს წარუდგენენ საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, აგრეთვე სახლთმმართველები და ნაგებობათა მფლობელები იმ წესით და იმ ვადებში, რომლებსაც სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი დაადგენს;

გ) სარეწაოებისა და მოსაქმეობის გამოკვლევის მასალებისა და გადამხდელთა შემოსავლის შესახებ არსებული სხვა ცნობების საფუძველზე.

მუხლი 31. საფინანსო ორგანოების თანამდებობის პირებს უფლება ეძლევათ:

ა) შეამოწმონ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დოკუმენტები გადასახადის გამოანგარიშებისა და გამოქვითვის შესახებ, აგრეთვე გადასახადის გამოქვითული თანხების ბიუჯეტში შეტანის შესახებ.

ბ) შეამოწმონ იმ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დოკუმენტები, რომლებიც მოვალენი არიან წარუდგინონ საფინანსო ორგანოებს გადასახადით დაბეგვრისათვის საჭირო ცნობები (მუხლი 30);

გ) დაუბრკოლებლივ შევიდნენ იმ სადგომებში, სადაც რეწვა სწარმოებს, შეამოწმონ ამ სარეწაოებისა და მოსაქმეობის შესახები დოკუმენტები და გასინჯონ ნედლეულის, მასალისა და მზა ნაწარმის მარაგი.

VI. სასჯელი გადასახადის კანონის დარღვევისათვის და გადასახადის გადამხდელთა პასუხისმგებლობა

მუხლი 32. მუშებისაგან, მოსამსახურეებისაგან, ლიტერატორებისაგან, ხელოვნების მუშაკებისაგან გადასახადის გამოუქვითველობისათვის ან არასწორად გამოქვითვისათვის, იმ მოქალაქეებისაგან საავანსო გადასახდელების გამოუქვითველობისათვის ან არასწორად გამოქვითვისათვის, რომლებიც მეურმეობას ეწევიან, აგრეთვე გამოქვითული თანხების ბანკის დაწესებულებაში თავის დროზე ჩაუბარებლობისათვის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მთავარ (უფროს) ბუღალტრებს დაედებათ ჯარიმა არაუმეტეს 100 მანეთისა.

მუხლი 33. მუშებისა და მოსამსახურეებისაგან გადასახადის გამოქვითვის შესახები ანგარიშების საფინანსო ორგანოებში თავის დროზე წარუდგენლობისათვის, აგრეთვე სხვა მოქალაქეთა გადასახადით დასაბეგრავად საჭირო ცნობების არა თავის დროზე ან არასრულად წარდგენისათვის, — ცნობებისა და ანგარიშების წარდგენისათვის პასუხისმგებელ პირებს დაედებათ ჯარიმა არაუმეტეს 100 მანეთისა.

აშკარად არასწორი ცნობების წარდგენა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით.

მუხლი 34. დაწესებულ ვადაში დეკლარაციების წარუდგენლობისათვის გადამხდელებს დაედებათ ჯარიმა არაუმეტეს 200 მანეთისა.

დეკლარაციაში აშკარად არასწორი ცნობების ჩვენება გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით.

მუხლი 35. ჯარიმების დადება და საქმეების აღძვრა ამ კანონის დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ეკისრებათ რაიონულ (საქალაქო) საფინანსო განყოფილებათა გამგეებს.

მუხლი 36. დაწესებულ ვადებში გადასახადის გადაუხდელობისათვის მენარჩენეთა მიმართ მიღებულ იქნება სასჯელის ზომები:

ა) გადასახდელის შეტანის ვადის გადაცილებისათვის გადახდებათ საურავი 0,2 პროცენტის რაოდენობით თვითეულ გადაცილებულ დღეში;

ბ) გადასახადის გადახდის ვადის გასვლის შემდეგ მოხდება მენარჩენის ქონების აღწერა და საქმე გადასახადის გადაუხდელობის შესახებ გადაეცემა სახალხო სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილებით მენარჩენეს ჩამოერთმევა ქონება იმ რაოდენობით, რაც საჭიროა ნარჩენების დასაფარავად.

გ) თუ ადგილი ექნა გადასახადის გადაუხდელობის არაერთ შემთხვევას, მენარჩენეები მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

მუხლი 37. განცხადებათა და საჩივართა შეტანა ვერ შეაჩერებს გადასახადის გადახდევინებას.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც გამოტანილია გადაწყვეტილება გადამხდელის სასარგებლოდ, არასწორად გადახდევინებული თანხები და ჩამორთმეული ქონება უნდა დაუბრუნდეს მას 10 დღის ვადაში.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ქონების დაბრუნება, მისი გაყიდვის გამო, ანაზღაურებული უნდა იქნას ქონების ღირებულება რეალიზაციისაგან ფაქტიურად შემოსული თანხების რაოდენობით.

მუხლი 38. ინსტრუქციას ამ კანონის შეფარდების შესახებ გამოსცემს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

მუხლი 39. ეს კანონი ძალაში შედის 1940 წლის 1 იანვრიდან.

მუშათა და მოსამსახურეთა (და მათთან გათანაბრებულ გადამხდელთა) გადასახადის პირველი გამოქვითვა ამ კანონის საფუძველზე ხდება 1940 წლის მაისის მეორე ნახევრის ხელფასიდან.

მუხლი 40. უკრაინის სს რესპუბლიკის ვოლინის, დროჰობიჩის, ლვოვის, როვნოს, სტანისლავის და ტარნოპოლის ოლქებში და ბელორუსიის სს რესპუბლიკის ბარანოვიჩის, ბელოსტოკის, ბრესტის, ვილეისკის და პინსკის ოლქებში მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასიდან, ლიტერატორთა და ხელოვნების მუშაკთა ხელფასიდან, აგრეთვე ექიმების, ფერშლების, ადვოკატებისა და კერძო პრაქტიკის მქონე სხვა პირთა შემოსავლიდან გადასახადი გადახდება ამ კანონის საფუძველზე.

მოქალაქეთა მიერ სხვა წყაროებიდან მიღებულ შემოსავალზე ამ ოლქებში გადასახადი გადახდება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 19 მარტის № 370 დადგენილებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 41. ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) მუხლი 15 სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 8 მაისის დადგენილებისა „ოქროსა და პლატინის მრეწველობის და ოქროსა და პლატინის შენახვისა და ტრიალის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ. 1929 წ. № 33, მუხ. 292; 1930 წ. № 41, მუხ. 426; 1932 წ. № 59, მუხ. 349);

ბ) მუხლი 28 სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 12 აგვისტოს დადგენილებისა სსრ კავშირის შორეულ ადგილებში და ქალაქის ტიპის დიდი დასახლებული ადგილების გარეთ მომუშავე პირთათვის შეღავათების მინიჭების შესახებ (სსრკ კან. კრებ. 1930 წ. № 41, მუხ. 427);

გ) მუხლი 94 სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 9 აპრილის დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა გამოგონებათა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა შესახებ (სსრკ კან. კრებ. 1931 წ. № 21, მუხ. 181);

დ) მუხლი 12 სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1932 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა გადასახადებისა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების შესახებ (სსრკ კან. კრებ. 1932 წ. № 69, მუხ. 410-ბ);

ე) 1934 წლის 17 მაისის დებულება კერძო პირთაგან საშემოსავლო გადასახადის შესახებ (სსრკ კან. კრებ. 1934 წ. № 27, მუხ. 211-ბ; 1935 წ. № 4, მუხ. 30; 1936 წ. № 1, მუხ. 4 და № 2, მუხ. 18 და 1937 წ. № 18, მუხ. 64 და № 19, მუხ. 72);

ვ) მუხლი 2 სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 13 ივლისის № 1646/690 დადგენილებისა თავდაცვის მრეწველობის განსაკუთრებით სარეჟიმო ქარხნებში მომუშავე მუშებისა, ინჟინრებისა, ტექნიკოსებისა, მოსამსახურეებისა და უმცროსი მოსამსახურე პერსონალისათვის საშემოსავლო გადასახადისა და საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათა გამოსაღების განაკვეთების შემცირების შესახებ;

ზ) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 14 აპრილის დადგენილება „საშემოსავლო გადასახადისა და საბინაო და კულტურულ - საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათა გამოსაღებისაგან იმ პრემიების განთავისუფლების შესახებ, რომლებიც მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ“ (სსრკ კან. კრებ. 1935 წ. № 22, მუხ. 170).

მუხლი 42. წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეიტანონ რესპუბლიკების კანონმდებლობაში ამ კანონისაგან გამომდინარე ცვლილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე —
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი —
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1940 წ. 4 აპრილი.

ქ რ ო ნ ი კ ა

ფინეთის მთავრობამ ითხოვა აგრემანი ბ-ნ ი. კ. პაასიკივის სსრ კავშირში ფინეთის დესპანად დანიშვნისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თანხმობა განაცხადა ბ-ნ **ი. კ. პაასიკივისათვის** აგრემანის მიცემაზე.

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ნ. ე. ხვორნიაკოვი** დანიშნა სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ. (საქდესი).

○

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რატიფიკაცია უყო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირსა და ირანს შორის ქ. თეირანში 1940 წლის 25 მარტს დადებულ ხელშეკრულებას ვაჭრობასა და ნაოსნობის შესახებ. (საქდესი).

○

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. **ი. ს. ზოტოვი** დანიშნა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ფინეთში.

○

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. **ვ. კ. დერევიანსკი** დანიშნა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ლატვიაში. (საქდესი).

სიმღერები და ლექსები დიდი სტალინის შესახებ

სტალინირი, 3 აპრილი (საქდესი). სამხრეთ-ოსეთის სახელგამმა ცალკე წიგნად გამოსცა ქართულ ენაზე ხალხური სიმღერებისა და ოსი აშუღებისა და პოეტების ლექსების კრებული დიდი სტალინის შესახებ.

სიმღერებისა და ლექსების თარგმანი შესრულებულია ქართველი პოეტების მიერ. საერთო რედაქცია ეკუთვნის პოეტ ვ. გორგაძეს.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **სახოპერა** — „სევილიელი დალაქი“, **რუსთაველის სახელობის** — „ყაჩაღები“, **მარჯანიშვილის სახელობის** — „გიორგი სააკაძე“, **მუსკომედია**—„ხაჯარათი“.

კინოებში: რუსთაველის სახ. — „მეოთხე პერისკოპი“, **ოქტომბერი** — „დიდი ცხოვრება“, **დამკვრელი** — „მეზღვაურნი“, **კომკავშირელი** — „წყნარი დონი“, **სპარტაკი** — „გამანადგურებლები“, **ლუქსემბურგის სახ.** — „არინკა“, **26 კომ. სახ.** — „გამანადგურებლები“, **კომინტერნი** — „გამანადგურებლები“.

მ. საფაროვ-აბაშიძის საღამო

7 აპრილს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა რესპუბლიკის სახალხო არტისტის მაკო საფაროვ-აბაშიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო, გახსნა სსრკ სახალხო არტისტმა ორდენოსანმა ა. ვასაძემ. საქ. სს რესპუბლიკის სახალხო არტისტის მაკო საფაროვ-აბაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ს. გერსამია. მოგონებებით და მისალმებებით გამოვიდნენ საქ. სს რესპუბლიკის სახალხო არტისტები: ელ. ჩერქეზიშვილი, ვ. ბალანჩივაძე, ნ. ჩხეიძე, დამსახურებული არტისტები: ტ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ნიკოლოზ კვინიტაძე ცოლშვილით იუწყება ქვისლის
კოსტა იაკობის-ძე ინჯიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 12/IV. საღამოს 5 ს. ნინოშვილის ქ. № 48/50.

თბილისის საბონენტო განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ამხ. მარო ზოიძეს მისი ძმის
ვ ა ნ ო ს
გარდაცვალების გამო.

მეუღლე მატრონა შვილით ზურიკოთი, დები ვაშინა, რუსუდანი, რძალი ნინო ძმისშვილებით და რძლით იუწყებიან
გრიგოლ ივანეს-ძე იშხნელის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9 აპრილს ჩხარში. 5937

სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიის კათედრის წევრები: პროფ. გ. ნათაძე, პროფ. ალ. ნამორაძე, დოც. ს. ყალიჩავა, ს. ბოკუჩავა, გ. გვიშიანი, ზ. სირაძე იუწყებიან ამავე კათედრის წევრის დოც. გრ. ბურჭულაძის დედის
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი ს
გარდაცვალებას. 5940

მეუღლე კატია, შვილები ჟორა, ნინო, კატო, ძმისწული მიხეილ, რძლები ანიკო, ნინო, ოლინკა, მარო, სიძე შალვა ნეფარიძე, მარო იობაშვილი იუწყებიან
სამსონ იობაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 9/IV, 5 ს. გარდისუბნის, 3. 5933

მშობლები მარგალიტა, ნიკოლოზ, და რუსუდანა ყენიები, მამიდა თამარ, მამიდაშვილები სერგო ცოლით ნუციკოთი, ვენერა ქმრით ალექსანდრე გამყრელიძით, თინა და ანტუშა ულენტები იუწყებიან პატარა
ნარგიზა ნიკოლოზის-ასულ ყენიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 9/IV 5 ს. მერკვილაძის, 13. 5938

მამა ალექსი, დედა ელენე, დები ნინა და ჟენია, დეიდები ოლა და მაშო იუწყებიან, რომ
კოლა ალექსის-ძე კურატიშვილის
პანაშვიდი დანიშნულია 9/IV 5 ს. პეტრეპავლეს სასაფლაოზე. 50

მშობლები ვასო, ანიკო ნადირაშვილები შვილით ბელათი იუწყებიან
თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9/IV, 7 ს. გამოსვენება 10 აპრილს 5 ს. ზასულიჩის ქ. № 1, კუკიის სასაფლაოზე. 5935

შვილები ბესარიონ, გიორგი, გრიშა, რძალი თინა შვილებით იუწყებიან
იაკობ გლახუას-ძე ვაშაკიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. დიდჯიხაიში, 9/IV, 5 ს. 5936

შვილები ალფესი, ერმილე, თეოფილე, ტერეზი, რძლები სონია, თამარ, ქეთო იუწყებიან
ელისაბედ ბურჭულაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 9/IV 4½ ს. პლეხანოვის, 108. 5924

ჩხარის საბჭოთა აფთიაქის თანამშრომლები სიჭინავა, რობაქიძე, იშხნელი იუწყებიან პროვიზორ
გრიგოლ ივანეს-ძე იშხნელის
გარდაცვალებას. დაკრძალვა დაბა ჩხარში 9/IV.

ნაცნობ-მეგობარი ფარმაცევტები იუწყებიან
კუკური (იროდი) ნანეიშვილის
გარდაცვალებას 5893

ვაჩნაძე, ძიძიგური, დ. მგელაძე, სამსონია, ნეიმანი, სუხიაშვილი, ბათიაშვილი, ახობაძე, ჩხეიძე, ლორთქიფანიძე, ჭრელაშვილი, ლოლაძე, კაპანაძე, გოგუაძე, ბ. მგელაძე იუწყებიან ერმილე ბურჭულაძის დედის
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი ს
გარდაცვალებას. 5941

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებები საპარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების— 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული № 1490